მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ OG17-78472 D 12.10.2017

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
მის. ჭოველიძის ქ.№10ა

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" (შემდგომში „კომპანია") განიხილა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილები №D17002973, დათარიღებული 04.09.17 წ; („კომპანიაში" რეგისტრირებული IN17-68703, IN17-69232 თარიღი: 08.09.17 წ. 11.09.17 წ.) შალვა შველიძის ქუჩა №16-ში მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი №01.17.09.007.005 და შალვა შველიძის ქუჩა №18-ში მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი №01.17.09.006.016 მიწისქვეშა კომუნიკაციების მდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე, მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი №01.17.09.006.016 გაედინება „კომპანიის" ბალანსზე რიცხული D=300 მმ-იანი წყალსადენის ქსელი და ნაკვეთის მიმდებარედ D=1400 მმ-იანი და D=900 მმ-იანი წყალსადენის მაგისტრალური ქსელები. მიწის ნაკვეთზე №01.17.09.007.005 „კომპანიის" ბალანსზე რიცხული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები არ გაედინება, ხოლო ნაკვეთის მიმდებარედ D=300 მმ-იანი, D=1400 მმ-იანი და D=900 მმ-იანი წყალსადენის ქსელები და ასევე გაედინება D=200 მმ-იანი საკანალიზაციო ქსელი, რომელიც კომპანიის ბალანსზე არ ირიცხება და მის ზუსტ მდებარეობაზე ინფორმაცის არ ვფლობთ. (იხ. სიტუაციური ნახაზი)

ქსელების ზუსტი მდებარეობის დასადგენად საჭიროა ადგილზე შურფირება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მისივე ხარჯებით, „კომპანიის" ზედამხედველობით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების" დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00"), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) და აგრეთვე, „კომპანიის" ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების (ოქმი N8) თანახმად, წყალსადენ-კანალიზაციის მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე,

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი GEORGIAN WATER AND POWER LTD
0179 თბილისი, მ. კოსტავას 1 შესახვევი №33 №33, 1st Lane, M. Kostava str. 0179, Tbilisi, Georgia
ტელ / Tel: +995 (32) 293 11 11; ფაქსი / Fax: +995 (32) 298 20 07 ელ-ფოსტა / E-mail: info@gwp.ge / www.gwp.ge

93126/04
13 10 2017
2+1 ფურცელი

სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე) უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელიდან 5 მეტრამდე მანძილზე, ხოლო წყალარინების ქსელების შემთხვევაში, 3 მეტრ მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) "კომპანია" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, "კომპანია" იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, ,,კომპანია" გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ეკატერინე ბერიძე

კომუნიკაციისა და კორპორაციული მომსახურების დირექტორი

შემს.მ. ლოლაძე



1:1,000
ბ. მშველიძის ქ.
01.17.09.006.016
01.17.09.007.005
H-1.5 300
H-2 1400
H-2 900
100
H-1.3
13 ქ.
ნავთლუღის დასახლების 13 ქუჩა
ბ. მშველიძის 1 ჩიხი
ბზა
Date: 9/?/2017